[illegible]

[illegible]

[illegible] 2017-2018 [illegible]

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი	*3-4 გვ.*
სტრატეგიის შემუშავების პროცესი	*4 გვ.*
2. სოციალური მომსახურების სისტემის მიმოხილვა	*4-8 გვ*
***2.1** ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ*	*4 გვ.*
***2.2** სოციალური მომსახურება საქართველოში*	*5-7 გვ.*
***2.3** სოციალური სერვისები მუნიციპალიტეტში*	*7-8 გვ.*
***2.4** პრობლემები და გამოწვევები*	*8-9 გვ.*
3. სოციალური მომსახურების პრიორიტეტები	*10-13 გვ.*
***3.1** პრიორიტეტები ეროვნულ დონეზე*	*10-11 გვ.*
***3.2** მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები*	*11-12 გვ.*
***3.3** მიზნები და ამოცანები*	*13-15 გვ.*
4. სტრატეგიის განხორციელების პროცესი	*15-19 გვ.*
***4.1** ინფორმაციის გავრცელება*	*16 გვ.*
***4.2** თანამონაწილეობითი დაგეგმარება*	*17 გვ.*
***4.3** ბენეფიციართა შერჩევა*	*18 გვ.*
***4.4** მონიტორინგი და შეფასება*	*18-19 გვ.*

დანართი ა: 2017 წლის სამოქმედო გეგმა

დანართი ბ: 2018 წლის სამოქმედო გეგმა

1. შესავალი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი სოციალური ჩართულობის სტრატეგია შემუშავდა ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია PIN-ის პროექტის „სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში“ ფარგლებში,[1] მრჩეველთა საბჭოს მიერ, რომელშიც გაწევრიანებულნი არიან თვითმმართველობის, ადგილობრივი სათემო ჯგუფების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. პროექტი დაფინასებულია ევროკავშირისა და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

სტრატეგიის შემუშავების პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ :

- ***რობიზონ გვენეტაძე,*** *ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეგელი, საბჭოს წევრი;*
- ***შალვა გაბრიაძე,*** *ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, საბჭოს წევრი;*
- ***ნელი ქარელი*** *- ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურის უფროსი; საბჭოს წევრი;*
- ***ზაზა გოჩელაშვილი,*** *არასამთავრობო ორგანიზაცია ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდის დირექტორი, საბჭოს წევრი, ფასილიტატორი;*
- ***გორის გაბრიაძე,*** *ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, ფრაქციის თავმჯდომარე, საბჭოს წევრი;*
- **გიგა სოფრომაძე,** *არასამთავრობო ორგანიზაცია „ნაბიჯი ტყიბულის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;*
- ***თენგიზ გაგოშიძე,*** *არასამთავრობო ორგანიზაცია „ცვლილებათა გზა, “ საბჭოს წევრი;*
- ***ელისო ცირეკიძე,*** *არასამთავრობო ორგანიზაცია „წითელი ჯვრის“ ტყიბულის ფილიალი, საბჭოს წევრი;*
- ***ხატია ჭელიშვილი,*** *საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი, საბჭოს წევრი*

ადგილობრივი სოციალური ჩართულობის სტრატეგიას საფუძვლად დაედო პროექტის ფარგლებში ტყიბულის მუნიციპალიტეტში ჩატარებული სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომლობისა და საჭიროებების ექსპერტული კვლევა[2], რომელმაც თვალნათლივ

---

[1] ***ჩეხური არაკომერციული ორგანიზაცია*** *„ადამიანი გაჭირვებაში“ (PIN) პროექტი „სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში ფარგლებში“ დაფინანსებულია ევროკავშირის და ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ. ხორციელდება საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრთან თანამშრომლობით საქართველოს სამ რეგიონში: იმერეთში, სამეგრელოში და შიდა ქართლში. ტყიბულის, ხონის, ზუგდიდის და გორის მუნიციპალიტეტებში. დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. www.pin.ge; www.facebook.com/PeopleInNeedGeorgiaPIN*

[2] **ექსპერტული კვლევა და საჭიროებების მონაწილეობითი ანალიზი** სოციალური მომსახურების ხელმისაწვდომობის შესახებ, სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი,თბილისი, 2016 წ.

გამოკვეთა სოციალური პოლიტიკის ძირითადი ასპექტები, ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე სოციალურ სფეროში არსებული ხარვეზები და მოქალაქეთა საჭიროებები.
სტრატეგია მოიცავს გრძელვადიან პრიორიტეტებსა და ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს სოციალური სერვისების განვითარებას მუნიციპალიტეტში. დოკუმენტში საუბარია ტყიბულის თემში სოციალური კუთხით არსებულ გამოწვევებზე, სამომავლო მიზნებზე, ამოცანებსა და განვითარების ხედვაზე. სტრატეგიის განხორციელებისათვის

მნიშვნელოვანია საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობა, დონორი ორგანიზაციების მოძიება, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობის გაძლიერება და მოსახლეობის ჩართულობა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოციალური ჩართულობის სტრატეგია განსაზღვრავს იმ ძირითად პრინციპებსა და პრიორიტეტულ მიმართულებებს, რომლებიც უნდა შესრულდეს სამოქმედო გეგმაში გაწერილი კონკრეტული ღონისძიებების მეშვეობით. სტრატეგიის განხორციელება ხელს შეუწყობს სოციალური სერვისების გაუმჯობესებას ადგილობრივ დონეზე ახალი, ინოვაციური მოდელების დანერგვით.

2. სოციალური მომსახურების სისტემის მიმოხილვა

2.1 ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ტყიბულის რაიონი, რომელიც ისტორიულ ოკრიბას მოიცავს, მდებარეობს დასავლეთ საქართველოში, ქვემო იმერეთში, ზღვის დონიდან 600-800 მეტრ სიმაღლეზე. ის გაშენებულია მდინარე ტყიბულას ორივე ნაპირზე, რომელიც შემოფარგლულია ტყით დაფარული მთაგორიანი ტერიტორიით.

ტყიბულის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისეთი წიაღისეულით, როგორიცაა ქვანახშირი, დიპტოლიტური და კვარცის ქვიშები, მარმარილო, გიშერი და სხვ. ამ ტერიტორიაზე მიედინება მინერალური წყალი. ტყიბულის მუნიციპალიტეტში შედის ათი ტერიტორიულ ერთეული.

ქალაქის მოსახლეობა შეადგენს დაახლოებით 14 000-ს, ხოლო სოფლის - 17 000-ს. ამ დროისათვის ტყიბულში 283 იძულებით გადაადგილებული პირი[3] ცხოვრობს. ტყიბულში ფუნქციონირებს 24 საჯარო სკოლა (18 სოფლად, 6 ქალაქ ტყიბულში). ასევე, მოქმედებს 15 საბავშვო ბაღი, მათ შორის 10 სოფლებში.

მუნიციპალიტეტშია სამხატვრო გალერეა, 5 საქალაქო და 20 სასოფლო ბიბლიოთეკა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე და **ლიტერატურული კაფე.** მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ჯანდაცვის რამდენიმე დაწესებულება, რაიონული საავადმყოფო ქალაქ ტყიბულში და 9 საექიმო ამბულატორია სოფლებში.

[3] ***იძულებით გადაადგილებული პირი*** - დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნება.

2.2 სოციალური მომსახურება საქართველოში

სოციალური მომსახურება გულისხმობს სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით არსებულ სახელმწიფო პოლიტიკას და ხედვას, რომელიც აერთიანებს პროგრამებსა და ქვე-პროგრამებს, რომლის ძირითადი მიზანი მოქალაქეთა სოციალური უსაფრთხოების გარანტიებით უზრუნველყოფაა.

სოციალური მომსახურება საქართველოში სამ ძირითად სექტორს მოიცავს. ესენია: საჯარო, სამოქალაქო და ბიზნეს სექტორი. ძირითადი როლი სოციალური პოლიტიკის განსაზღვრის კუთხით ენიჭება საჯარო სექტორს, რომელიც 3-დონიანია და შემდეგი ინსტიტუციებისაგან შედგება:

სოციალურ სფეროში ჯანდაცვის სამინისტროს უფლება-მოვალეობები გაწერილია „სოციალური დახმარების შესახებ“[4] საქართველოს კანონით, რომლის მიხედვითაც სამინისტრო:

- საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ შეფასების სისტემაში;
- უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით;
- აწარმოებენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას;
- უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას.

[4] https://matsne.gov.ge/ka/document/view/23098

აფხაზეთისა და აჭარის ა/რ შესაბამისი ორგანოები სოციალური დახმარების სფეროში ახორციელებენ შემდეგ საქმიანობებს:

- *აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ორგანოების მიერ ავტონომიური რესპუბლიკების ტერიტორიებზე მცხოვრები ოჯახებისათვის გაწეული დახმარების შესახებ ინფორმაციის შეგროვება/ანალიზი და მისი სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობა;*
- *უსახლკარო პირთა რეესტრის წარმოება და შესაბამისი ინფორმაციის სამინისტროსათვის ხელმისაწვდომობას.*

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

- *საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მონაწილეობენ შეფასების სისტემაში;*
- *უსახლკარო პირებს უზრუნველყოფენ თავშესაფრით;*
- *აწარმოებენ თავშესაფარში მყოფი პირების რეგისტრაციას;*
- *უზრუნველყოფენ რეგისტრირებული უსახლკარო პირების შესახებ ინფორმაციის სააგენტოსათვის ხელმისაწვდომობას.*

სოციალური სფეროს განვითარების კუთხით მნიშვნელოვან როლს თამაშობს არასამთავრობო სექტორი, რომელიც ძირითადად სოციალური სერვისების განმახორციელებელია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო უმეტესად ცენტრალურ დონეზე იყენებს ე.წ აუთსორსინგის მეთოდს, რაც გულისხმობს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს მხრიდან მიღებული ფინანსური მხარდაჭერით გარკვეული სერვისის შესრულებას. მაგალითად, დღეის მდგომარეობით ასეთი სერვისის მიმღები არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე[5] ბავშვები, რომლებიც დღის ცენტრებში სწავლობენ და სახელმწიფოსგან იღებენ ვაუჩერულ დაფინანსებას. ეს მეთოდი ბევრ ევროპულ ქვეყანაში მოქმედებს, რადგან ერთი მხრივ, ის სოციალურ სფეროს ავითარებს და გაცილებით სტაბილურს ხდის და მეორე მხრივ, ადგილობრივ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს მათივე გამოცდილება მიმართონ სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფების[6] მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

---

[5] ***შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი*** *- პირი, რომელსაც ასეთი სტატუსი მინიჭებული აქვს „სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.*

[6] ***გულისხმობს ადამიანთა ჯგუფს,*** *რომლებიც მოკლებულნი არიან გარკვეულ პრივილეგიებს ან ხელი არ მიუწვდებათ ისეთ საზოგადოებრივ ასპექტებზე, რაც სხვებისთვის ადვილად ხელმისაწვდომია*

უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სფერო გახდა და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მიმართულებით არსებული პროგრამების დაფინანსების წილი 2016 წლისთვის მნიშვნელოვნად გაიზარდა. თუმცა, სოციალურ სფეროში ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევა არსებობს. მათ შორის სახელდება ექსპერტული კვლევების სიმწირე, სოციალური მომსახურების/სერვისების განვითარებაზე სახელმწიფოს სტრატეგიის არქონა, არასრულყოფილი მონაცემთა ბაზები და ა.შ. ასევე ერთ-ერთ მიგნებად დასახელდა ის, რომ სახელმწიფო სოციალური მოდელი ძირითადად ე.წ მონეტარიზებულ ფულად გასაცემელს ეფუძნება და მხოლოდ რამდენიმე მუნიციპალიტეტში ხდება ერთჯერადი ფულადი გასაცემლების მიმართვა გრძელვადიან პროექტებზე, რაც გაცილებით უფრო ეფექტურ შედეგს იძლევა.

2.3. სოციალური სერვისები ტყიბულის მუნიციპალიტეტში

საქართველოში ადგილობრივ დონეზე სოციალური პოლიტიკის განხორციელებას სოციალური

მომსახურების სააგენტოს რაიონული განყოფილებები და ადგილობრივი თვითმმართველობის სოციალური სამსახურები უზრუნველყოფენ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება: სამსახურის უფროსი, სოციალური დაცვის განყოფილების უფროსი და ოთხი მთავარი სპეციალისტი. სამსახური ფინანსდება მუნიციპალური ბიუჯეტიდან და მისი შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ტრანსფერი, რომელსაც მუნიციპალური ბიუჯეტი სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების განხორციელებისათვის იღებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური საქმიანობას წარმართავს დებულების შესაბამისად, რომლის მიხედვითაც სამსახური უზრუნველყოფს:

- *სოციალურ დაცვის სფეროში მუნიციპალური რესურსების მობილიზებას; მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით პროგრამების მომზადებასა და განხორციელებას;*
- *კომპეტენციის ფარგლებში უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის მიზნით წინადადების მომზადებას და უსახლკაროთა რეგისტრაციას;*
- *სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, მიზნობრივი პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებას;*
- *სახელმწიფო და ადგილობრივი სოციალური პროგრამების კოორდინირებული განხორციელების უზრუნველყოფას კომპეტენციის ფარგლებში;*
- *მუნიციპალიტეტის ტერიტორაზე იძულებით გადაადგილებულ პირთა აღრიცხვა-რეგისტრაციის ხელშეწყობას კომპეტენციის ფარგლებში;*
- *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვას და საზოგადოებაში ინტეგრირებაში დახმარებას.*

მუნიციპალური სოციალური პროგრამები გამომდინარეობს ცენტრალურ დონეზე არსებული პრიორიტეტებიდან, ავსებენ სახელმწიფო სოციალურ პროგრამებს და ბევრი სხვა მუნიციპალიტეტის მსგავსად ძირითადად ფულად გასაცემელზეა აგებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი სოციალური პროგრამების შემუშავების დროს მიზნობრივი ჯგუფები და დახმარებების ოდენობები განისაზღვრება გამგეობაში შემოსული განცხადებების საფუძველზე, მოქალაქეთა საჭიროებების მიხედვით.

*საყურადღებოა ისიც, რომ **ტყიბულის მუნიციპალიტეტში** სოციალური სფეროს გაუმჯობესების ხელშეწყობის კუთხით გარკვეულ საქმიანობას ეწევა **არასამთავრობო სექტორი.** მათ შორის PIN-ი,*

ა/ო „ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი," ა/ო „ცვლილებათა გზა," რომლებიც ძირითადად მუშაობენ სოციალურად დაუცველ, დევნილ ახალგაზრდებთან და სხვადასხვა აქტივობებით ხელს უწყობენ მათ საზოგადოებაში ინტეგრაციას. ტყიბულში ფუნქციონირებს ა.(ა)ი.პ. „ნაბიჯი ტყიბული," რომელსაც აქვს მცდელობა დააარსოს დღის ცენტრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის. ასევე, აღსანიშნავია საქნახშირი „ჯი აი ჯი ჯგუფის" მიერ განხორციელებული სოციალური პროექტი, რომლის ფარგლებშიც ა/ო „ნაბიჯი ტყიბულთან" თანამშრომლობით მოხდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტყიბულის ფილიალის შენობების ადაპტირება. საგულისხმოა ისიც, რომ ღონისძიებების დაგეგმვისას ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები მჭიდროდ თანამშრომლობენ ტყიბულის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

2.4. პრობლემები და გამოწვევები

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში სოციალურ მიმართულებაზე გამოყოფილი ტრანსფერი ბოლო წლებში მზარდი ტენდენციით ხასიათდება, თუმცა ადგილობრივ დონეზე ჯერ ისევ რჩება რამდენიმე გამოწვევა. მოსახლეობის მიერ ყველაზე მწვავე საჭიროებებს შორის სახელდება:

- *არსებული სოციალური სერვისების სიმწირე;*
- *მოქალაქეთა საჭიროებების კვლევა და გაზის სრულყოფა;*
- *უმუშევრობა და დასაქმების ახალი შესაძლებლობების მოძიება;*
- *შშმ პირებისთვის გარემოს ხელმისაწვდომლობა; მიზნობრივი სერვისების ნაკლებობა;*
- *დევნილებისთვის სოციალური სერვისების სიმწირე;*
- *ახალგაზრდებისთვის მიზნობრივი პროგრამების ნაკლებობა;*
- *გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ნაკლებობა;*
- *მუნიციპალიტეტში ხანდაზმულებისთვის, უსახლკაროებისთვის მხარდამჭერი პროგრამების სიმწირე*

გარდა ზემოხსენებულისა, მოქალაქეთა მიერ სოციალურ სფეროში არსებულ ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ხარვეზები დასახელდა. რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ არსებობს სამედიცინო გამოკვლევების დაფინანსების (მაგალითად, ონკოლოგიის დარგში) სრულად ანაზღაურების, ასევე სამედიცინო ტექნიკით რეგიონის სრულად აღჭურვის და გარკვეული სამედიცინო სერვისების ადგილზე ხელმისაწვდომლობის საჭიროება.

მოქალაქეთა მიერ გამოვლინდა დევნილთა თემში არსებული გამოწვევები. აღინიშნა, რომ ერთ-ერთ პრობლემურ საკითხად რჩება დევნილთათვის სოციალური სერვისების ნაკლებობა, სათანადო ცხოვრების პირობებით, საცხოვრისით უზრუნველყოფა, დასაქმება და ა.შ. გარდა ამისა,

საჭიროებებს შორის დასახელდა მიზნობრივი პროგრამების ნაკლებობა ე.წ შახტაში დამარცხებულებისთვის, მარტოხელა დედების, მარჩენალდაკარგულების, სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის და სხვ.

მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთ გამოწვევად რჩება ბენეფიციარების საჭიროებების კვლევა და მონაცემთა ბაზის სრულყოფა. ეს პრობლემა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რომლის მოგვარებაშიც ადგილობრივ თვითმმართველობასთან ერთად არასამთავრობო სექტორი და მოსახლეობა უნდა ჩაერთოს. ამასთანავე, საყურადღებოა მუნიციპალიტეტებში გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა დაბალი ჩართულობის პრობლემა, რისი გადაწყვეტაც მოქალაქეთა აზრით, შესაძლებელია ორმხრივი და აქტიური თანმაშრომლობის შედეგად. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად ტყიბულშიც არსებობს სოციალური სერვისების აუთსორსინგის მეთოდით განხორციელების საჭიროება, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობით სერვისების დახვეწას და სოციალური მომსახურების გაუმჯობესებას ადგილობრივ დონეზე.

კონკრეტულად, მოწყვლადი ჯგუფების მიხედვით მუნიციპალიტეტში გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები და გამოწვევები:

1. მარტოხელა დედები/მშობლები

- არასათანადო საცხოვრისი;
- განათლებაზე ნაკლები ხელმისწავდომობა;
- დასაქმების საჭირო უნარების ნაკლებობა;

2. დევნილები

- დაბალი ეკონომიკური აქტივობა;

3. ხანდაზმულები/მათ შორის მარტოხელა მოხუცები/უსახლკაროები

- არასათანადო საცხოვრებელი პირობები (შინ მოვლის პროგრამა, სათანადო საყოფაცხოვრებო ტექნიკით უზრუნველყოფა);
- საზოგადოებისგან იზოლირება/სოციალური იზოლაცია;

4. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანები

- სამედიცინო გამოკვლევების და მედიკამენტების ნაკლები ხელმისწავდომობა;

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები

- დაბალი სოციალური აქტივობა/სოციალური ინკლუზია;
- გარემოზე ხელმისაწვდომლობა;

6. შახტაში „დამარცხებულები“

- სარეაბილიტაციო პროგრამებზე ნაკლები წვდომა

7. ახალგაზრდები

- დაბალი სოციალური აქტივობა

3. ოციალური მომსახურების პრიორიტეტები

3.1 პრიორიტეტები ეროვნულ დონეზე

ბოლო წლებში, ეროვნულ დონეზე ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სოციალური და ჯანდაცვის სფერო სახელდება. არაერთხელ აღინიშნა, რომ ამ მიმართულებით გამოყოფილი საბიუჯეტო თანხები ზრდადი დინამიკით ხასიათდება. 2016 წლისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების წილმა 30%-ს მიაღწია. სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფიციალური სტატისტიკით (2016 წლის ივნისის თვის მონაცემები) საქართველოს მოსახლეობის 4,5% რომელიმე სოციალური პაკეტის მიმღებია[7]. დღეისათვის, სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის სქემით იფარება მოსახლეობის 92%, ხოლო 400,000-მდე მოქალაქე რჩება კერძო ინდივიდუალური ან კორპორაციული დაზღვევის ქვეშ.

სოციალური მომსახურების სფეროში სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტებისა და პროგრამების დოკუმენტი ორ ძირითად მიმართულებას აერთიანებს. ესენია:

მოსახლეობის სოციალური დაცვა: საქართველოს მოქალაქეებისთვის სოციალური და ეკონომიკური უფლებების რეალიზების ხელშეწყობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, ხანდაზმულთა და მზრუნველობამოკლებულ, სოციალურად დაუცველ, მიუსაფარ და მიტოვების რისკის ქვეშ მყოფ ბავშვთა ფიზიკური და სოციალურიმდგომარეობის გაუმჯობესება და მათი საზოგადოებაში ინტეგრაცია პრევენციული, სარეაბილიტაციო, ალტერნატიული და ოჯახის გასაძლიერებელი მომსახურებებით და დამხმარე საშუალებებით.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა: მოიცავს ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ფინანსურ და გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. პროგრამის მიზანია მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენცია; იმუნიზაციის, დაავადებათა ადრეული გამოვლენისა და სკრინინგის ხელშეწყობა, აგრეთვე ისეთი გადამდები დაავადებების, როგორიცაა ტუბერკულოზი, მალარია, ვირუსული ჰეპატიტები, აივ ინფექცია, გავრცელების კონტროლი.

სახელმწიფო სოციალური პროგრამების ერთ-ერთი მიმართულებაა საყოფაცხოვრებო სუბსიდია (ყოველთვიური ფულადი სახის გასაცემელი), რომელიც განკუთვნილია კანონით განსაზღვრული სხვადასხვა სოციალურ კატეგორიას მიკუთვნებულ პირთა წრისათვის საყოფაცხოვრებო-კომუნალური საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

---

[7] საქართველოს მთავრობის ანგარიში, 2015 წ. ხელმისაწვდომია: http://gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=424

სახელმწიფო სოციალური პროგრამები ძირითადად 5 მიმართულებით ხორციელდება. ეს პროგრამებია:

- **სოციალური პროგრამები,** სადაც თავს იყრის: ფულადი სოციალური დახმარება (საარსებო შემწეობა), ომის ვეტერანთა რეაბილიტაციის ხელშეწყობა, დამხმარე საშუალებებით უზრუნველყოფა, ყრუთა კომუნიკაციის ხელშეწყობა, დღის ცენტრები, სათემო ორგანიზაციები, ფსიქიკური დარღვევის მქონე პირთა თავშესაფრით უზრუნველყოფა და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა;
- **ბავშვზე ზრუნვა:** ბავშვის შვილად აყვანა, ბავშვზე ზრუნვის ალტერნატიული ფორმები, ბავშვთა დაცვა ძალადობისგან, ოჯახის დამხმარე პრევენციული ღონისძიებები, ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაცია, ბავშვთა ადრეული განვითარება, მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფა, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების გადაუდებელი დახმარება;
- **ჯანდაცვის პროგრამები:** საყოველთაო ჯანდაცვა, სხვა ჯანდაცვის პროგრამები, C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა;
- ***სახელმწიფო გასაცემელი:*** სახელმწიფო პენსია, სახელმწიფო კომპენსაცია, საყოფაცხოვრებოსუბსიდია, სოციალური პაკეტი, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, აგრეთვე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულების ანაზღაურება;
- ***დასაქმება***

სოციალური მომსახურების განხილვისას, მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ აღინიშნოს სახელმწიფოს მხრიდან აუთსორსინგის მეთოდოლოგიის გამოყენება ზოგიერთი სოციალური სერვისის განსახორციელებლად, რაც თავის მხრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შესაძლებლობას აძლევს გახდნენ სერვისის მიმწოდებლები. ეს განსაკუთრებით ეხება ბავშვთა კეთილდღეობის პროგრამებსა და სერვისებს, თუმცა დღეის მდგომარეობით მსგავსი პრაქტიკა მხოლოდ ცენტრალურ დონეზე და რამდენიმე მუნიციპალიტეტში არსებობს.

2 მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები:

ტყიბულის მუნიციპალიტეტისთვის სოციალური და ჯანდაცვის მიმართულება ერთ-ერთი პრიორიტეტულია. 2016 წლის 31 მაისის მონაცემებით, ტყიბულის სოციალური სფეროს ბიუჯეტი 364 600 ლარს შეადგენს, რაც ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია მთელი საქართველოს მასშტაბით. სოციალური პროგრამების წილი მთლიან ბიუჯეტში დაახლოებით 4%-ია. სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, აღნიშნული ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოციალური სფეროს ბიუჯეტიც ზრდადი დინამიკით ხასიათდება. 2015 წელს სოციალური პროგრამების დაფინანსება 20 000 ლარით გაიზარდა, ხოლო 2016 წელს 30 000 ლარით.

უნდა აღინიშნოს, რომ ტყიბულის საკრებულოს დადგენილებით - N48 2 განსაზღვრულია ინდივიდუალური დახმარების ქვეპროგრამით მოსარგებლეთა 20 კატეგორია, რომლებიც ერთჯერადად სხვადასხვა ოდენობის ფულადი დახმარებით სარგებლობენ. მათ შორის არიან უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი მოქალაქეები, მრავალშვილიანი ოჯახები, ომის ვეტერანები და ა.შ

ორგ. კოდი	პროგრამის დასახელება	2016
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	364,6
06 01	ჯანდაცვის პროგრამები	60,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა	60,0
06 02	სოციალური პროგრამები	304,6
06 02 01	ინდივიადუალური დახმარების პროგრამა, რომელიც მოიცავს 20 მიზნობრივ კატეგორიას	112,0
06 02 02	ახალშობილთა დახმარება	50,0
06 02 03	სარიტუალო ხარჯები	5,6
06 02 04	უმწეოთა კვება	64,0
06 02 05	ხანძრით, ბუნებრივი კატასტროფით და სხვა მიზეზით დაზარალებულთა დახმარების პროგრამა	65,0
06 02 06	სამამულო ომის ვეტერანებისა და საქართველოს ერთიანობისათვის დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარება	8,0

გარდა ზემოხსენებულისა, ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოციალური პროგრამებიდან და სერვისებიდან საგულისხმოა სოციალურად დაუცველებისთვის უფასო სასადილო, რომელიც ყოველდღიურად 100 ბენეფიციარს ემსახურება. ასევე აღსანიშნავია, რომ ინდივიდუალური დახმარების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება, ერთჯერადი დახმარებები სხვადასხვა დაავადების მქონე (თირკმელის უკმარისობით, ეპილეფსიით და ა.შ) პირების, მრავალშვილიანი ოჯახებისთვის და ა.შ

3.3 სტრატეგიული მიზნები და ამოცანები 2016-2017 წლებისთვის

მისია: ტყიბულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ინკლუზიურ და მდგრად თემს, სადაც სოციალური სერვისების შემუშავება ხდება გამჭირვალობისა და ჩართულობის პრინციპებზე დაყრდნობით და მიმართულია ბენეფიციარების შესაძლებლობების განვითარებაზე. მუნიციპალიტეტში შექმნილია მოწყვლადი ჯგუფებისათვის შესაძლებლობების რეალიზების ხელშემწყობი გარემო.					
სტრატეგიული მიზანი 1: მაღალი ეკონომიკური აქტივობისა და განვითარებაზე ორიენტირებული თემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა			**სტრატეგიული მიზანი 2** გარემოს ადაპტირება და სოციალური ინკლუზია		**სტრატეგიული მიზანი 3:** ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოციალური სერვისების გაუმჯობესება
ამოცანა 1: ახალგაზრდების სოციალური აქტივობის გაზრდა	**ამოცანა 2:** დევნილების ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა	**ამოცანა 3:** უსახლკაროთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა	**ამოცანა 2.1:** ხანდაზმულებისთვის სოციალური სერვისების გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია	**ამოცანა 2.2:** შშმ პირებისთვის ადაპტირებული და ინკლუზიური გარემოს შექმნა	**ამოცანა 1.3:** სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების/სერვისების შემუშავება
საქმიანობები:					
1.1 ახალგაზრდებისთვის რესურსცენტრის მოწყობა, სათანადო ინვენტარით აღჭურვა	2.1. ტყიბულის მუნიციპალიტეტში დევნილთა თემში საჭიროებების კვლევა/ანალიზი	3.1. უსახლკაროებისთვის სოციალური საცხოვრისის მოწყობა/ადმინისტრირება	2.1.1 ხანდაზმულთა შინ მოვლის სერვისის შემუშავება/ამოქმედება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (ბენეფიციართა იდენტიფიცირება, ამბულატორიის ექთნების გადამზადება, მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება)	2.2.1 შშმ პირთა დასაქმებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შემუშავება/პროფესიული გადამზადება, დასაქმების ხელშეწყობა	3.1.1. საინფორმაციო ბაზების სრულყოფის მიზნით სამიზნე ჯგუფებში კვლევის ჩატარების ორგანიზება (საჭიროებების კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება, დახვეწა, საველე სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება)
1.2. დასაქმების ბაზრის შესწავლა, სოციალური და ეკონომიკური უნარების ასამაღლებელი ტრენინგ-კურსების ორგანიზება/ჩატარება	2.2. უფასო გადამზადების პროგრამების შემუშავება/ჩატარება,	3.2. ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (მოხალისეთა ქსელის დახმარებით) საკვებით და სხვა საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყოფა	2.1.2 ხანდაზმულთათვის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება, ბენეფიციართა ჩართვა პროგრამებში	2.2.2. საზოგადოებრივ შენობებზე პანდუსების მოწყობა, ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების შეძენა	3.1.2. საჯარო შეხვედრების ორგანიზება/მოსახლეობასთან პირდაპირი კომუნიკაცია
1.3 დამსაქმებელთა მოძიება, ანაზღაურებადი სტაჟირების ორგანიზება	2.3. დევნილთა დასაქმების, ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა (საგრანტო კომპონენტის გათვალისწინება)	3.3. უსახლკაროებისთვის ჯანდაცვის პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა		2.2.3 ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შშმ პირებისთვის ახალი სერვისების შემუშავება	3.1.3. მონაცემთა ბაზების ფორმირება/მონაცემთა მუდმივი განახლება

1.4.მოხალისეობრივი აქტივიზმის ხელშეწყობა		3.4. ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უსახლკაროთა საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების შემუშავება, დასაქმებისთვის საჭირო შესაძლებლობების ანალიზი, სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება			3.1.4 მედია საშუალებების, სოციალური ქსელების, საინფორმაციო ბუკლეტების გამოყენება

ტყიბულის მუნიციპალიტეტის ხედვა/მისია

ტყიბულის მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ინკლუზიურ და მდგრად თემს, სადაც სოციალური სერვისების შემუშავება ხდება გამჭვირვალობისა და ჩართულობის პრინციპებზე დაყრდნობით და მიმართულია ბენეფიციარების შესაძლებლობების განვითარებაზე. მუნიციპალიტეტში შექმნილია მოწყვლადი ჯგუფებისათვის შესაძლებლობების რეალიზებისათვის ხელშემწყობი გარემო.

სტრატეგიული მიზანი 1. მაღალი ეკონომიკური აქტივობისა და განვითარებაზე ორიენტირებული თემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა

ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილია შემდეგი ამოცანების მიღწევა და საქმიანობები: **ამოცანა 1.1** ახალგაზრდების სოციალური აქტივობის გაზრდა

საქმიანობები:

1.1.1 ახალგაზრდებისთვის რესურსცენტრის მოწყობა, სათანადო ინვენტარით აღჭურვა;

1.1.2 დასაქმების ბაზრის შესწავლა, სოციალური და ეკონომიკური უნარების ასამაღლებელი ტრენინგ-კურსების ორგანიზება/ჩატარება;

1.1.3 დამსაქმებელთა მოძიება, ანაზღაურებადი სტაჟირების ორგანიზება;

1.1.4 მოხალისეობრივი აქტივიზმის ხელშეწყობა

ამოცანა 1.2: დევნილების ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა

საქმიანობები:

1.2.1. ტყიბულის მუნიციპალიტეტში დევნილთა თემში საჭიროებების კვლევა/ანალიზი;

1.2.2. უფასო გადამზადების პროგრამების შემუშავება/ჩატარება;

1.2.3. დევნილთა დასაქმების, ეკონომიკური აქტივობის ხელშეწყობა (საგრანტო კომპონენტის გათვალისწინება)

ამოცანა 1.3: უსახლკაროთა სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა

საქმიანობები:

1.3.1 უსახლკაროებისთვის სოციალური საცხოვრისის მოწყობა/ადმინისტრირება;

1.3.2 ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (მოხალისეთა ქსელის დახმარებით) საკვებით და სხვა საჭირო საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყოფა;

1.3.3. უსახლკაროებისთვის ჯანდაცვის პროგრამებში ჩართვის ხელშეწყობა;

1.3.4 ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით უსახლკაროთა საჭიროებებზე ორიენტირებული სერვისების შემუშავება, დასაქმებისთვის საჭირო შესაძლებლობების ანალიზი, სხვადასხვა მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება

სტრატეგიული მიზანი 2. გარემოს ადაპტირება და სოციალური ინკლუზია

ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილია შემდეგი ამოცანების მიღწევა და საქმიანობები: **ამოცანა 2.1** ხანდაზმულებისთვის სოციალური სერვისების გაუმჯობესება და საზოგადოებაში ინტეგრაცია

საქმიანობები:

2.1.1. ხანდაზმულთა შინ მოვლის სერვისის შემუშავება/ამოქმედება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით (ბენეფიციართა იდენტიფიცირება, ამბულატორიის ექთნების გადამზადება, მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება);

2.1.2. ხანდაზმულთათვის კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება, ბენეფიციართა პროგრამებში ჩართვა

ამოცანა 2.2: შშმ პირებისთვის ადაპტირებული და ინკლუზიური გარემოს შექმნა

საქმიანობები:

2.2.1. შშმ პირთა დასაქმებაზე ორიენტირებული სასწავლო პროგრამების შემუშავება/პროფესიული გადამზადება, დასაქმების ხელშეწყობა;

2.2.2. საზოგადოებრივ შენობებზე პანდუსების მოწყობა, ადაპტირებული სატრანსპორტო საშუალების შეძენა;

2.2.3 ადგილობრივ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შშმ პირებისთვის ახალი სერვისების შემუშავება

სტრატეგიული მიზანი 3. ტყიბულის მუნიციპალიტეტში სოციალური სერვისების გაუმჯობესება

ამ მიზნის მისაღწევად დაგეგმილია შემდეგი ამოცანების მიღწევა და საქმიანობები: **ამოცანა 3.1** სამიზნე ჯგუფების საჭიროებებზე მორგებული პროგრამების/სერვისების შემუშავება

საქმიანობები:

3.1.1 საინფორმაციო ბაზების სრულყოფის მიზნით სამიზნე ჯგუფებში კვლევის ჩატარების ორგანიზება (საჭიროებების კვლევის მეთოდოლოგიის შემუშავება, დახვეწა, საველე სამუშაოებზე პასუხისმგებელი პირების გადამზადება);

3.1.2 საჯარო შეხვედრების ორგანიზება/მოსახლეობასთან პირდაპირი კომუნიკაცია;

3.1.3 მონაცემთა ბაზების ფორმირება/მონაცემთა მუდმივი განახლება;

3.1.4 მედია საშუალებების, სოციალური ქსელების გამოყენება, საინფორმაციო ბუკლეტების გავრცელება

4.სტრატეგიის განხორციელების პროცესი

4.1. ინფორმაციის გავრცელება

მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მმართველობა ღიაობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს ეფუძნება, არსებობს გარკვეული გამოწვევები ინფორმაციის გავრცელებისა და მასზე ხელმისაწვდომობის კუთხით, როგორც დაგეგმარების ეტაპზე, ასევე უკვე დამტკიცებული პროგრამების შესახებ ინფორმირებულობის თვალსაზრისით.

სოციალური ჩართულობის მუნიციპალური სტრატეგიის შესახებ ინფორმაცია გავრცელდება ადგილობრივი და სოციალური მედიის საშუალებით, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე მრჩეველთა საბჭოს მხრიდან (www.infotkibuli.ge; www.okrinanews.ge; www.facebook.com/tddf). ასევე შესაბამისი განცხადებები განთავსდება საჯარო და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების და სხვა ადმინისტრაციული შენობები, სტენდები, საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებები, მუნიციპალური ტრანსპორტი, ამბულატორიების, დევნილთა კომპაქტური დასახლებების ცენტრები, უმწეოთა სასადილო და სხვ.).

გარდა ზემოაღნიშნულისა, ინფორმაციის გავრცელებისათვის გამოყენებული იქნება მოხალისეობრივი ინსტიტუტი ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით. აღნიშნულს უზრუნველყოფენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები („ტყიბულის რაიონის განვითარების ფონდი," ა/ო „ცვლილებათა გზა" და „წითელი ჯვრის" ტყიბულის ფილიალი) თავიანთი მოხალისეობრივი ქსელით.

ინფორმაციის გავრცელების პროცესში ჩართულნი იქნებიან ტყიბულის თემის სხვადასხვა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, სოციალური სამსახურის თანამშრომლები, რომლებიც საკონსულტაციო შეხვედრებს გამართავენ მოსახლეობასთან და მოქალაქეებს მიაწვდიან ინფორმაციას მუნიციპალიტეტში არსებული სოციალური პროგრამების შესახებ. ასევე, სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებთან დაკავშირებით მოსახლეობის ინფორმირება მოხდება ტყიბულის მუნიციპალიტეტში არსებული ჯანდაცვის სასოფლო ამბულატორიების ქსელის (10 საექიმო ამბულატორია) წარმომადგენლების და ოჯახის ექიმების მეშვეობით.

4.2. თანამონაწილეობითი დაგეგმარება

თანამონაწილეობითი დაგეგმარება ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოციალური სტრატეგიის განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანია, რადგანაც როგორც სოციალური საჭიროებების კვლევამ აჩვენა, მოქალაქეები პრაქტიკულად არ არიან ჩართულნი მუნიციპალური პროგრამების შემუშავების პროცესში და მიუხედავად მუნიციპალიტეტის ძალისხმევისა, ეს საკითხი დღემდე ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. ტყიბულის

მუნიციპალიტეტში დაინტერესებული მხარეების ჩართულობით სოციალური პროგრამების შემუშავება მოხდება შემდეგი გეგმის მიხედვით:

სოციალური ჩართულობის მუნიციპალური სტრატეგიის დოკუმერტი წარედგინება ტყიბულის მოსახლეობას საჯარო შეხვედრებზე, რომლებიც ორგანიზებული იქნება მრჩეველთა საბჭოს მიერ. შეხვედრებზე მოსახლეობას ექნება შესაძლებლობა გააჟღეროს საკუთარი მოსაზრებები და კომენტარები, იმ საქმიანობებთან დაკავშირებით, რაც სტრატეგიის ფარგლებში უნდა განხორციელდეს. მოსახლეობის უკუკავშირი აისახება 2017 წლის სამოქმედო გეგმაში და განხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობისა და ჩეხური ორგანიზაცია PIN-ის ერთობლივი ძალისხმევით.

სტრატეგიული გეგმის განხორციელების მეორე ეტაპზე დაინერგება საჭიროებათა კვლევისა და ანალიზის პრაქტიკა, სადაც გამოყენებული იქნება სხვადასხვა მეთოდები: დაკვირვება, მოსახლეობის გამოკითხვა, ფოკუს ჯგუფების ორგანიზება. შესაბამისი მონაცემთა ბაზა ხელს შეუწყობს მომავალი პროგრამების უფრო ეფექტურ და საჭიროებებზე ორიენტირებულ დაგეგმარებას.

სოციალური პოლიტიკის დაგეგმარების აუცილებელი პირობა იქნება სოცილური ჩართულობის მრჩეველთა საბჭოს მუშაობის გაგრძელება მომდევნო სამი წლის განმავლობაში და მასთან აქტიური კონსულტაციები, როგორც დაგეგმარების, ასევე განხორციელებისა და მონიტორინგის ეტაპებზე.

4.3. ბენეფიციართა შერჩევა

როგორც საჭიროებების კვლევამ აჩვენა, ტყიბულის მუნიციპალიტეტში მოწყვლადი ჯგუფების რაოდენობა საკმაოდ დიდია. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მხრიდან გაწეული იქნება მაქსიმალური ძალისხმევა, რათა სოციალურმა სერვისებმა /პროგრამებმა მოიცვას ყველა კატეგორია. ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან და არსებული რეალობიდან გამომდინარე, მოწყვლადობის ხარისხის და რესურსების ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით, პირველ ეტაპზე ძირითადი აქცენტი გაკეთდება შემდეგ სამიზნე ჯგუფებზე: დევნილები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, უსახლკაროები, ხანდაზმულები, ახალგაზრდები და ა.შ. ბენეფიციართა შერჩევის პროცესი თითოეული სერვისისათვის წარიმართება ინდივიდუალურად,

თუმცა ერთიანი მეთოდოლოგიის გამოყენებით, რაც გულისხმობს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას. გამგეობის სოციალური სამსახურის მიერ ჩამოყალიბდება კომისია, რომლის შემადგენლობაში შევლენ მრჩეველთა საბჭოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომისიის მიერ შემუშავდება შესაბამისი კრიტერიუმები, რაც ფოკუსირებული იქნება ყველაზე მოწყვლადი ჯგუფების ინტერესებზე. პროცესის ღიაობა უზრუნველყოფილი იქნება მედია საშუალებების მიერ, რათა ბენეფიციარებსა და ზოგადად მოსახლეობას ჰქონდეს მაღალი ნდობა სოციალური პოლიტიკის მიმართ ტყიბულის მუნიციპალიტეტში.

4.4. მონიტორინგი და შეფასება

სტრატეგიის განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება რამდენიმე გზით განხორციელდება:

- **სამოქმედო გეგმა:** *სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია 2017 და 2018 წლების სამოქმედო გეგმები. გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიის განხორციელების კონკრეტულ ნაბიჯებს ქვე-პროგრამების სახით და შესაბამის ინდიკატორებს მიზნებისა და ამოცანებისათვის. ასევე პასუხისმგებელ მხარეებს/პირებს საქმიანობების წარმატებით განხრციელებისათვის. სამოქმედო გეგმა იქნება ეფექტური ინსტრუმენტი დაგეგმილი საქმიანობების მონიტორინგისა და შეფასებისათვის ტყიბული მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის მხრიდან;*

- ***სამიზნე ორგანიზაციის მონიტორინგი:*** *სოციალური ჩართულობის სტრატეგიის მონიტორინგისთვის სპეციალურად გადამზადდება სამიზნე ორგანიზაცია - ტყიბულის რაიონის განვითარების ფორდი. სემინარის ფარგლებში შემუშავებდა მონიტორინგისა და შეფასების ერთწლიანი გეგმა, რომლის განხორციელებისათვის PIN გამოყოფს დაფინანსებას;*

- ***მონიტორინგი და შეფასება PIN-ის მხრიდან:*** PIN-ის სოციაულური პროექტის ფარგლებში განხორციელდება სტრატეგიის განხორციელების რეგულარული მონიტორინგი პროექტის მენეჯერისა და კოორდინატორის მიერ. შესაბამისი მონიტორინგის ფორმები შეივსება და შედგება მონაცემთა ერთიანი ბაზა. ამასთანავე დაგეგმილია შუალედური და საბოლოო შეფასება, რომელსაც განახორციელებენ მოწვეული ექსპერტები სხვა ორგანიზაციებიდან.